ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(2) 1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვარსქენი მიმართავს სპარსთა მეფეს:

„ – რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა-ესე მე.

ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა ხელთა შუშანიკისაგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“.

1. რომელ *„შჯულს“* გულისხმობს ვარსქენი?
2. რას ნიშნავს სიტყვები: *„არა აქუნდა ხელთა შუშანიკისაგან“*?

(2) **2. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ მსაჯული მიმართავს აბოს:**

„ – დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათვის შედგომილ ხარ ქრისტეანეთა, მე უფროისღა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ“.

1. რას ჰპირდება მსაჯული აბოს ქრისტიანობაზე უარის თქმის სანაცვლოდ?
2. გაიხსენეთ, რა უპასუხა აბომ მსაჯულს?

(2) **3. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:** „[გრიგოლი] წარემართა აფხაზეთს. და მი-რაი-იწია წინაშე ხელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო“.

1. გაიხსენეთ, რა მიზნით გაემგზავრა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში?
2. გრიგოლ ხანძთელისადმი აფხაზეთის მეფის როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში?

(6) **4. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ თავი:** „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.

1. როგორ ახასიათებს თინათინს სიტყვები: „რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“?
2. რა მიზეზი დაასახელა როსტევანმა, რის გამოც თინათინი უნდა გაემეფებინა?
3. კონკრეტულად რამ გაახარა ავთანდილი, როცა თინათინის გამეფების ამბავი შეიტყო?
4. რატომ ატირდა თინათინი, როცა მამამ ტახტზე დასვა?
5. რით ახსნა როსტევანმა თინათინის გამეფების შემდეგ თავისი „დაღრეჯილობა“?
6. რაში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს როსტევანი და ავთანდილი?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო;

ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო;

ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო“.

1. ავტორის აზრით, რატომ უნდა სწავლობდეს ყმაწვილი? (ციტირება დაუშვებელია)
2. ვინ იგულისხმება სიტყვებში: „*ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად*“?

(2) 6. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“:

1. რა აწუხებდა ფინეზს, რის გამოც მან *„დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა...“*?

2. რა პირობით დასთანხმდა ლეონი მეფე ფინეზს, რომ მის ვაჟიშვილს აღზრდიდა?

(2) 7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

1. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ლექსი?
2. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „*ყვავილოვანი წალკოტი შენი...*“?

(2) 8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“.

1. რატომ არის ამაო უძლეველ მეფეთა სურვილი, დაიპყრონ სხვა სამეფოები?
2. რა კონკრეტული მიზანი ამოძრავებს კეთილ მეფეს, როცა ის საკუთარ ხალხსა და ქვეყანაზე ზრუნავს?

(2) 9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კალამო“.

1. რას გამოხატავს სიმბოლურად ამ ლექსში „*კალამი*“?
2. რატომ მიიჩნევს პოეტი, რომ ხალხის სიძულვილში მისი დადანაშაულება უსაფუძვლოა?

(2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ლექსი „აღმართ-აღმართ“.

1. რა ნიშნავს სიტყვები: *„ჭმუნვის ალი მენელა“*?

2. რით არის განპირობებული ლირიკული გმირის სასოწარკვეთა?

(2) **11. ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ წერს:** „ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა და იქ... აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას“.

1. რა იყო ონისეს *„ნაღველის“* გამომწვევი მიზეზი?
2. გაიხსენეთ, რა სასჯელი გამოუტანა თემის სამსჯავრომ გუგუას?

(3) 12. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“.

1. რომელი ისტორიული ფაქტია ამ პოემაში ასახული?
2. რატომ აღასრულებდა *„საჯარეში“* რელიგიურ რიტუალს *„დიაცი“* სანათა?
3. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: *„დღემ დაიხურა პირბადე...“*?

(2) 13. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

1. რატომ არ სურდა პლატონს ქორწილის მეორე დღეს შაფათაძის ოჯახში სტუმრობა?
2. რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი სამანიშვილებისათვის, ელენეს ვაჟი გაუჩნდებოდა თუ ქალიშვილი?

(1) 14. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.

ვის მიმართავს ლირიკული გმირი სიტყვებით:

„სული, ვედრებით განაოცები,

შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა“?

(2) **15. გაიხსენეთ პაოლო იაშვილის ლექსი „პოეზია“.**

1. რა არის პოეტისთვის „*ტანჯვა... უზარმაზარი*“? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში:

   „*მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული*

   ეს ჩემი ტვინი...“?

(2) **16. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ნინოწმინდის ღამე“.**

1. რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს ადარებს პოეტი სატრფოს სტრიქონში: „*ხატი იყავ - ვეფხვი დაქალებული...*“?
2. ვის გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „*ლექსის მეხანძარენი*“?

(2) 17. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“.

1. „როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ღამის მკრთალი თვალი გაახილა, იგის სხეულში წუხილმა დაიდო ბინა“.

რა იგულისხმება სიტყვებში: „*ღამის მკრთალი თვალი*“?

2. „ – როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“.

რა იგულისხმება სიტყვებში: „*დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება*“?

(2) 18. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

1. რატომ მოსწონდა ვასიკო კეჟერაძეს ფართოჯიბიანი ტანსაცმელი?
2. ვასიკო კეჟერაძის აზრით, რა მიზნით უნდა დაამწყვდიონ ახალგაზრდები *„კარცერ-ლუქსში“*?

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“:

აღარ გაათავებ? – მკითხავს მოწყენილი, და იქნებ გაჯავრებულიც, მკითხველი. – როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? – დაიძახებს ჩემთან ერთად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“ – ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის, რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის მოყვარეო, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!..

გაიარა რაოდენმამე ჟამმა და წუთის-სოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმმა დედა-კაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან და-მარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი – მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ესღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებღერტა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის-ოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, – ერთის

სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან ამ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდ-ნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალი ყოფილან და მერე დახოცილან“? სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება, შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

ყურადღებით წაიკითხეთ ფინალური მონაკვეთი აკა მორჩილაძის მოთხრობიდან „მოგზაურობა კახეთში 1855 წ.“:

ასე იდგა და დასცქეროდა გაჭრილ სამარეს, გარშემო კი გარინდებულიყო კახეთის თავადობა, ასევე დარდდა-ფენილი ამ გრილ შუადღით, შემხედვარე ოჯახურ უბედურებისა.

მერე აღარ შერჩენოდა ხსოვნა არც ჭირის სუფრისა, ეზოში რომ გადაეფინათ და არც არავის მოურთხავს ფეხი იმ სუფრასთან, ფეხზედგომელა უთხრეს შენდობა, თითონ კი ამ ამბის მერე აღარ ასულა მაღლა, ვინაიდან არ შეეძლო ჯდომა ჭრიალა აივანზე და ჰკლავდა კარი ამათი ოთახისა. ქვევით მოუწყვეს ოთახი და დასახლდა იქა, არც სანთელი შეიტანა, არცა ჭრაქი, თეფში და ჯამი. იჯდა იქა და დღის შუქს არ ენახებოდა, შეღამებულზე გად-მოდგამდა ხოლმე ფეხსა და ისევ შევიდოდა და მიეგდებოდა, ძალისძალ შეუტანდა ხოლმე მოურავი პურის ფა-ფას და იმ ბნელშიაც ხედავდა, როგორ დნებოდა ეს ამოდენა დევსავით მოსული და სუქანი კაცი, მომლოდინე თავის სიკვდილისა და ოჯახთან შეერთებისა.

ასე გავიდა ორმოცი დღე და მეტიც და ერთიც გაჭრიალდა კარი. არ გაუგია სხვა ხმა, ან ცხენის ფლოქვისა ან შემახილისა და მაინც მოხედა კარს, რომელთანაც ზურგშექცეული იჯდა ხოლმე და კარში იდგა თოფ-იარაღში ჩამჯდარი, ეპოლეტებდაბნეული ენდრონიკაანთ ერთი თავადიშვილი და უცქერდა. წამოდგა ამის დანახვაზე და გადაეხვივნენ კვნესით.

„ოსმალო წამოსულა“. სთქვა მოსულმა, ამან კი არ უპასუხა.

„ოსმალო წამოსულა და ნამესტნიკმა კახელ თავადობას მილიციის შედგენა გვითხრა ჩვენ-ჩვენი ხალხით, ახალციხით წავალთ და ჩოლოქზედ უნდა ვიყვეთ დათქმულ დროს...“

ეს კიდევ გაჩუმებული იყო, მერე კი თქვა:

„ჩემ მახსოვრობაში ომი აღარა ყოფილა. ორმოცი წლისა ვარ და ომი არ მინახავს“.

„შენთან მოვედი... უნდა წამოხვიდე“.

იმ ბნელში ჩანდა მხოლოდ ერთმანეთის თვალები, ერთი იმედიანი თავადისა და მეორე ჩამქრალი, თუმცაღა მაინც ცოცხალი, ორივ წყვილი ამ თვალებისა ერთმანეთს მიბჯენილი შუაგაბმულ რაღაც ძაფებით.

„არა...“, სთქვა მან.

ენდრონიკაანთ თავადმა კი იცოდა ერთი რამ: გადარჩენა ამ კაცისა, მისი გამოხედვა სინათლეზე, მოვლა მისი ჭრილობისა შესაძლოა ამ ერთადერთ, განგებისგან მოსულ გზით, რომ თავის დაღუპვა ბნელ ოთახში ერთია და მეორე კიდევ – ომში, და ამ წრფელის აზრით შემკულმა უთხრა:

„კარში გამოდი, მეტს არას გთხოვ“, და გამოუძღვა გარეთ.

გარეთ კიდევ სცემდა დღის სინათლე და მთელი ეზო გაევსო ხალხს, მთელი ეზო გაევსო ამხედრებულ იარაღასხმულ თავადობას კახეთისას და ყველანი უყურებდნენ ამას, თავის სიბნელიდან გამოსულს და მან, როცა შეხედა თავის კახელებს, გამზადებულს საომრად და ასე მოსულთ მის სახლ-კარში, სთქვა ხმადაბლა:

„მე... ომისა რა გამეგება?“

და დაინახა შორიახლო მდგომი მოურავი, ხელში იმ ძველი თოფით და კიდევ ასჯერ ძველი, კოხტა ქამარ-ხანჯლით, თითქოს უნდა მიართვას თავის ბატონსო, და მოესმა ენდრონიკაანთ თავადის ხმა, მისთვის ასე ამხა-ნაგური და თბილი:

„მთელი კახეთი აქა ვართ, შენ სახლში. ჩინ-მედლისთვის არ მივდივართ იქა, ეგებ თავის მოსარჩენათ ან ტკი-ვილის უფრო მეტ ტკივილით მოსავლელათ. აისხი ეგ იარაღი და წამოგვყევი. ვინ იცის, როგორ მისვლა სჯობია, იქა... ცაში“.

ასე წავიდა თავადი ლუარსაბ თათქარიძე ომში.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 120 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახის შესახებ ორივე ტექსტის შედარების საფუძველზე;
- იმსჯელეთ ამ ორი ტექსტის ურთიერთმიმართების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ – რა ამსგავსებს და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან);
- იმსჯელეთ ავტორთა მიერ გამოყენებული მხატვრული საშუალებების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ თხრობის სტილსა და თავისებურებებს).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!